GOV 3 19 00003121

29/01/2019

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს,
ბატონ **დავით ზალკალიანს**

ბატონო **დავით,**

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია აწარმოებს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (გაეროს რეზოლუცია: A/RES/70/1; 25 სექტემბერი, 2015) განხორციელების კოორდინაციას. აღნიშნულ პროცესში აქტიურად არის ჩართული თქვენი სამინისტრო.

მიმდინარე წელს, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ტექნიკური მხარდაჭერით და თქვენი უწყების წარმომადგენლებთან თანმშრომლობით, განისაზღვრა ახალი ინდიკატორები, რაც მომავალში უზრუნველყოფს მიზნების განხორციელების ზუსტ მონიტორინგს, გაზომვადი, გლობალურ დონეზე შედარებითი და ეროვნულ საჭიროებებზე დაფუძნებული რაოდენობრივი მონაცემების საშუალებით.

ასევე, როგორც მოგეხსენებათ, მიზნების განხორციელების მონიტორინგს ახორციელებს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული საბჭო, რომლის შემადგენლობის განახლების საჭიროება გამოიკვეთა განხორციელებული სამთავრობო სტრუქტურული და საკადრო ცვლილებების შედეგად.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, საბოლოო მონაცემების შესავსებად გიგზავნით ეროვნული მატრიცის დოკუმენტს თქვენი კომპეტენციის ფარგლებში შემავალ მიზნებზე. გთხოვთ, მიმდინარე წლის 4 თებერვლამდე, წარმოადგინოთ განახლებული დოკუმენტი და სამინისტროს საკურაციო მიზნების განხორციელების ზედამხედველი - საბჭოს წევრი მინისტრის მოადგილის/მოადგილეების კანდიდატურა შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: sdgcouncil@gov.ge

დანართი: მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი - *საგარეო საქმეთა სამინისტროს ნაწილი.*

პატივისცემით,

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი

კახა კახიშვილი